

ნინო ეჯიბაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

nino.ejibadze@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.23>

## აზრის ჰიპერბოლირების ტექნიკა არაბულში

**საკვანძო სიტყვები:** არაბული ლიტერატურა, აზრის ჰიპერბოლიზაცია

არაბული მხატვრული აზროვნებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანია აზრის ჰიპერბოლიზება, გაძლიერება. არაბული ენა ამგვარი ეფექტის მისაღწევად არაერთ საშუალებას გვთავაზობს; ისინი გრამატიკისა და სტილისტიკის მიჯნაზე ფუნქციონირებენ და თითქმის თანაბრად ეხებიან ერთსა და მეორესაც. ეს გრამატიკული და სტილისტური ხერხები, ჩვეულებრივ, ენაში თითქმის ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ, მაგრამ, როდესაც საქმე ეხება სათქმელის ჰიპერბოლირებას, ისინი ამ ეფექტის მისაღწევად გამოიყენებიან სხვადასხვა ნიუანსური დატვირთვით.

### 1. აზრის ჰიპერბოლირების გრამატიკული საშუალებანი

პირველ რიგში, აზრის გაძლიერების, ჰიპერბოლირების, ინტენსივირების ეფექტის შექმნას ემსახურება მთელი რიგი მორფოლოგიური საშუალებებისა. მათ შორისაა დერივაციული სისტემის ზოგიერთი ფორმა:

لَفْعٌ – فَعْلٌ მოდელზე აგებული ზმნური ფორმა, დასავლურ ლინგვისტიკაში ცნობილი როგორც II თემა, თავისთავად პირვანდელ, პრეკლასიკურ, ვარიანტში იყო მორგებული აზრის გაძლიერებით, ინტენსიფიკაციით გადმოცემაზე (Юшманов 2017: 24). საინტერესოა, რომ აზრის ჰიპერბოლირების გადმოსაცემად შემუშავებული ფორმა პრაქტიკულად ემთხვევა პირველს, ამოსავალს, ოღონდ მასში გემინირებულია მეორე ძირისეული თანხმოვანი. საფიქრებელია, რომ, რამდენადაც არაბულში გემინატი გაიაზრება, როგორც გაძლიერებული (مُشَدَّدٌ) თანხმოვანი, აზრის გაძლიერების, ინტენსივირების ფუნქციაც იტვირთა მეორე ძირისეული თანხმოვნის „გაძლიერებით“ წარმოთქმამ. თავის მხრივ, როგორც ცნობილია, მეორე ძირისეული თანხმოვანი (და მისი ხმოვანი) არის ყველაზე მნიშვნელოვანი სამთანხმოვნიან-თა ფორმაწარმოებისთვის.

უკვე არაბული ენის კლასიკურ ეპოქაში, დერივაციული სისტემა გართულდა როგორც ფორმაწარმოების, ასევე სემანტიკური თვალსაზრისით: გამოჩნდა XI-XV თემები, წარმოებულნი „ამორფულ თანხმოვანთა“ („ამორფული თანხმოვნებისთვის“ იხ.: ეჯიბაძე 2023: 79-93) ინფიქსაციით, ხოლო ადრე უკვე არსებული დერივაციული ფორმები დაიტვირთა დამატებითი მნიშვნელობებითაც. ამ ფონზე, II თემამაც დაიმატა ფუნქციები: ნასახელარი ზმნების წარმოება, დეკლარაციისა და კაუზაციის გადმოცემა. ამათგან, პირველი ორი შედარებით იშვიათია. რაც შეეხება კაუზაციას, კაუზატივი გადმოცემული II თემის მიერ, IV თემით გადმოცემულ კაუზატივთან შედარებით ზოგჯერ ნაკლებად მასშტაბური მნიშვნელობისაა (შდრ: سَأَلَ „გადასცა (მაგალითად, რაიმე ნივთი, წერილი და მისთ.)“ – أَسْأَلَ „იწამა (გადასცა საკუთარი თავი უფალს)“; ზოგჯერ, II თემით კაუზატივი

გადმოიცემა მაშინ, თუკი IV თემით ამ ძირიდან კაუზალური მნიშვნელობა არაა მკვეთრად გამოხატული: **أَنْفَر** „იყო ნა-ყოფიერი“ **نَفَرَ** – „ნაყოფი გამოაღებინა“; ანდა, II თემით გადმოცემული კაუზატივი

აღინიშნება დაბალი სოციოლინგვისტური პრესტიჟით, მაშინ, როდესაც იმავე ძირის IV თემით გადმოცემული კაუზატივი სოციოლინგვისტურად მაღალი სტატუსითაა მარკირებული.

საბოლოოდ, II თემის ძირითად ფუნქციად რჩება აზრის ინტენსივირების, ჰიპერბოლირების, გაძლიერების გამოხატვა: **ضَرَبَ** „ძლიერად დაარტყა, ძლიერად სცემა“, **فَطَّعَ** „დააქუცმაცა, წვრილ ნაჭრებად დაჭრა“, **فَخَّ** „ფართოდ გააღო, ფართოდ გაახილა“.

XI-XV თემები, როგორც ცნობილია, ენაში იშვიათად გამოიყენება. თანამედროვე ენამ – როგორც სალიტერატურომ, ისე დიალექტებმა – უარი თქვეს მათზე, როგორც ფორმარმოების საშუალებაზე; შემორჩენილია მხოლოდ ერთეული სიტყვები, რომლებიც იხმარება მზა ფორმით. საბოლოოდ, XI-XV დერივაციული ფორმები, როგორც ფორმარმოების საშუალებანი, მხოლოდ კლასიკური ენის კუთვნილებაა; თითოეული მათგანი მომარჯვებულია მნიშვნელობის ინტენსივირების, ჰიპერბოლირების, გაძლიერებისთვის. ამათგან, XI თემა ემსახურება სპეციფიკურ სემანტიკურ ჯგუფს და მხოლოდ (მეცხრე თემის) ფიზიკური ნაკლისა და ფერის გამომხატველი ზმნებიდან აწარმოებს აღმატებით ფორმას: **أَخْضَرَ** „ძალიან გაწითლდა“, **أَغْرَا** „ძალიან კოჭლობდა“. რაც შეეხება მეთორმეტე თემიდან შემდგომ: XII თ. **أَخْشَشَ** „იყო ძალიან უხეში“, XIII თ. **أَجْلَوَ** „გაჭიანურდა, ძალიან დიდხანს გაგრძელდა“, **أَعْلَوَ** „იყო მძიმეწონიანი“, XIV თ. **أَعْلَكَ** „იყო ძალიან ხშირი (თმა)“, XV თ. **أَعْلَدَى** „იყო ძალიან მსუქანი, მძიმეწონიანი (აქლემი)“ – როგორც ვხედავთ, ყველა ეს მაგალითიც ინტენსივირებული მნიშვნელობისაა.

ზმნურ ფორმათაგან, ასევე, ენერგეტივი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ კლასიკურ ენაში, გულისხმობს ზმნის იმპერფექტივის მნიშვნელობის ინტენსივირებას, გაძლიერებას სათანადო სუფიქსაციით. ასეთი სუფიქსი ორია: **نَ** და **و**. პირ-ველს ეწოდება **نَ تَوْكَ يَدُ الْخَفِيفَةِ** „დადასტურების მძიმე ნუნ-ი“, ხოლო მეორეს – მოკლე ფორმას – **نَ تَوْكَ يَدُ الْخَفِيفَةِ** „დადასტურების მსუბუქი ნუნ-ი“. ამ სუფიქსებთან შესაძლებელია დამატებითი მტკიცებითი ნაწილაკის დართვა: **إِنَّا لَعَلَّكَ أَطْيَرَانِ** „კარგად გასწავლი ფრენას, მაშ!“ (ყურანი: 21-57) „ვფიცავ ალ-ლაჰს, გავანადგურებ (ძალიან, სასტიკად, დაუყოვნებლად) თქვენს კერპებს, რო-გორც კი გაბრუნდებით და წახვალთ.“

რაოდენობითი რიცხვითი სახელები „ერთი“ და „ორი“, როდესაც ისინი იხმა-რებიან მხოლოდით ან ორობით რიცხვში, განუსაზღვრელ მდგომარეობაში მდგარ სახელებთან, ასევე მნიშვნელობის ხაზგასმას, ჰიპერბოლირებას ემსახურებიან: **أَعْطَانِي يِنَارًا** „მომცა ერთი დინარი“, **أَعْطَانِي يِنَارَيْنِ** „მომცა ორი დინარი“, მაგრამ: **وَإِحْدَا أَعْطَانِي يِنَارًا** „მომცა ერთადერთი დინარი, მხოლოდ ერთი (და არა – მეტი) დინარი“, **أَعْطَانِي يِنَارَيْنِ أَثْنَيْنِ** „მომცა ორად ორი დინარი (და არა – მეტი)“.

გარკვეული თვალსაზრისით, ზოგიერთ მორფოსინტაქსურ სიტუაციაში ნაწი-ლაკი ასევე გამოდის აზრის ჰიპერბოლირების ფუნქციით (განსაკუთრებით, მტკი-ცებითი ნაწილაკები, მაგრამ არა მხოლოდ). მაგალითად, თუკი ვიტყვით, **أَعْطَيْتُهُ يِنَارًا**

ეს უკვე ნიშნავს „მე მას მივეცი (ერთი) დინარი“, მაგრამ თუ ამ ფრაზას დავურთავთ მტკიცებით ნაწილაკებს: **لَقَدْ أَعْطَيْتُهُ يِنَارًا**, **إِنِّي أَعْطَيْتُهُ يِنَارًا** – ეს გამოიწვევს ფრაზით გად-მოცემული აზრისთვის დამატებითი დამაჯერებლობის მინიჭებას: „ჰუმმარიტად, ნამდვილად, მე მას მივეცი დინარი“.

სხვა მაგალითები: (ყურანი, 36:81) لَقَدْ مَنَّ اللَّهُ عَلَى الْأَنْبِيَاءِ إِذْ أَنْزَلَ إِلَيْهِ الْكُتُبَ وَالْأَقْلَامَ

„განა მას, ვინც შექმნა ზეცა და ხმელეთი, არ ძალუძს შექმნას მსგავსი? დიახ, რადგანაც იგია შემოქმედი ყოვლისმცოდნე“ – ამ ყურანისეულ ციტატაში თავკიდური ნაწილაკი و , რომელიც ერთვის კითხვით ნაწილაკს, სწორედ აზრის ჰიპერბოლიზებას, ნათქვამისთვის დამატებითი დამაჯერებლობის მინიჭებას იწვევს. ისევე, როგორც ნაწილაკი ف ამ ფრაზაში: يَكُونُوا مُؤْمِنِينَ وَلَوْ شَاءَ رَبُّكَ لَمَنَ مِنْ فِي الْأَرْضِ كُلُّهُمْ جَمِيعًا أَفَأَنْتَ تُكْرِهُ النَّاسَ حَتَّى

„შენს უფალს რომ ესურვას, ყველა ერთად გახდებოდა მორწმუნე ამ მიწაზე. განა შენ აიძულებ ხალხს, იყვნენ მორწმუნენი?“ იგულისხმება, „ვერ აიძულებ“ და ამ უარყოფით მნიშვნელობას აძლიერებს ნაწილაკი ف სიტყვაში أَفَأَنْتَ . სხვა მაგალითი:

أَفَلَا يَنْظُرُونَ إِلَىٰ آلِ إِبْرَاهِيمَ إِذْ أَنَا فِي السَّمَاءِ ثُمَّ أَنزَلْنَاهُ عَلَيْهِمْ مَائِدَتِي الْوُحُوشِ وَالْطَّيْرِ وَالْأَنْعَامِ وَأَنزَلْنَا مِنَ الْمَدْيَنِ سُلَيْمَانَ وَآدَمَ إِلَىٰ الْأَرْضِ (ყურანი, 22:17) „განა ვერ უყურებენ აქლემებს, როგორ შექმნილან!“ ნაწილაკი ف აქაც აზრის ინტენსივიზებას, მასზე დამატებით აქცენტირებას იწვევს; ف ნაწილაკის ჩართვა აქ-ცევს ამ წინადადებას კითხვითიდან ძახითად.

მორფოსინტაქსის სფეროდან, ამ კონტექსტში, უნდა ვახსენოთ პარონომაზია. როგორც ცნობილია, ეს არის კონსტრუქცია, რომელშიც ზმნას მოსდევს ამავე (ან მიახლოებული მნიშვნელობის), აკუზატივში მართული საწყისი. არაბულ ტრადიციაში აკუზატივში მართულ ამ მასდარს ეწოდება الْمُطْلَقُ , ე.ი., „აბსოლუტური ობიექტი“ (თუ ზმნა მოცემულ მნიშვნელობას აწარმოებს რომელიმე წინდებულის დახმარებით, „აბსოლუტური ობიექტი“, განსხვავებით ჩვეულებრივისგან, ამ წინდებულისგან თავისუფალია; محمد على أبو العباس, 78). პარონომაზიული კონსტრუქციის ძირითადი ფუნქციაა მოქმედების აქცენტირება რამდენიმე სხვადასხვა სემანტიკური შეფერილობით:

ა) მოქმედების ტიპის იდენტიფიცირება

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا اتَّقُوا اللَّهَ وَفُؤُوا قَوْلًا سَدِيدًا (ყურანი, 33:70)

„თქვენ, რომელთაც იწამეთ, გეშინოდეთ ალლაჰისა და იპალარაკეთ სადი ლა-პარაკით (ე.ი., გონივრულად)“;

ბ) მოქმედების ოდენობის, ჯერობის გამოხატვა:

هَجَمَ الْعَدُوُّ هُجُومَاتٍ ثَلَاثَةً „მტერი დაესხა თავს სამი თავდასხმით (ე.ი., სამჯერ)“;

და, რაც ყველაზე ხშირია,

გ) ზმნის მნიშვნელობის ინტენსიფიკაცია, დადასტურება:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا صَلُّوا عَلَيْهِ وَسَلِّمُوا تَسْلِيمًا (ყურანი, 33:56)

„თქვენ, რომელთაც იწამეთ, ილოცეთ მასზე (მუჰამად მოციქულზე) და დაე-მორჩილეთ დამორჩილებით (ე.ი., სრულიად, აბსოლუტურად, უაპელაციოდ).“

თუ პრინციპული პოზიციიდან შევხედავთ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტი შეიძლება გაერთიანდეს აზრის ჰიპერბოლიზების, გაძლიერების, ინტენსივიზების ერთიან ჩარჩოში, რადგანაც ყველა მათგანი ემსახურება ხაზგასმას, აქცენტირებას.

2. აზრის ჰიპერბოლიზების სტილისტური საშუალებანი

გარდა წმინდა გრამატიკულისა, აზრის ჰიპერბოლიზებას ემსახურება სტილისტური ხასიათის საშუალებანიც, ძალიან დამახასიათებელი არაბულისთვის და პოპულარული არა მხოლოდ სალიტერატურო ენაში, არამედ, სასაუბრო არაბულშიც.

პირველ რიგში, აქ უნდა გავიხსენოთ პარალელიზმი, რომლის სხვადასხვა ვარიანტი გამოიყენება, როგორც ორწევრიანი, ასევე მრავალწევრიანი; السجع , ისევე, რო-გორც الجناس ასევე პარალელიზმის ვარიანტებად შეიძლება განვიხილოთ (მათ შესახებ იხ. მაგ., ديفين ج , 1995 ; علي الجندي 2008 ; ستيوارت 1995 )

შეიძლება აგებული იყოს ან ფორმის, ან მნიშვნელობის მსგავსებაზე; ან, მასში ერთდროულად იყოს წარმოდგენილი ფორმის მსგავსებაცა და მნიშვნელობისაც (მაგალითები იხ. ქვემოთ). პარალელიზმი, თავისთავად, ყოველთვის აზრის ჰიპერბოლიზებას არ ემსახურება; მაგრამ ყოველთვის ემსახურება გადმოსაცემი აზრის ადრესატზე გავლენის გაძლიერებას, აზრის ეფექტურად, მაღალმხატვრულად გადმოცემას. სრულიად სხვადასხვა ჟანრის არაბული ტექსტები გვაწვდიან მდიდარ მასალას სხვადასხვა ტიპის პარალელიზმის დემონსტრირების-თვის:

فَاءَ إِلَى الْفِيَّافِي وَإِذَا فَاءَ الْفَيْزُ أَفَا

„წავიდა უდაბნოში და როცა დაბნელდება, მოვა“. ამ ციტატაში, რომელსაც ხანდახან სიბავაიჰის მხევალს მიაწერენ, პარალელიზმს განაპირობებს სიტყვათა ძირების ფონეტიკური მსგავსება; ისევე, როგორც შემდეგ ბაითიში (სალექსო პწკარედში. ხალხური ტრადიცია მიაწერს ალ-მუთანაბზის \_\_\_\_\_, თუმცა მის დივანში ასეთი ლექსი არ დასტურდება, იხ. ديوان المتنبي):

أ ل م أَلَمْ أَلَمْ بَدَائَةٍ .. إِنْ أَنْ أَنْ أَنْ أَنْ أَوَائَةٍ: (ديوان المتنبي)

„მოვიდა ტკივილი, რომლის მსგავსი ადრე არ ვიცოდი, თუკი დრო მოვა (ღვთის ნებით), მისი (ე.ი., ტკივილისგან განკურნების) ჟამიც მოვა“. აქ თითოეული შატრი (სალექსო პწკარედის ნახევარი) ასევე ფონეტიკური მსგავსების პრინციპზეა აგებული.

არტიკულაციური მსგავსების პრინციპზეა შედგენილი შემდეგი ბაითები; პირ-ველ მათგანში ისეა შერჩეული სიტყვები, რომ არცერთი ბგერის არტიკულირებაში ენა არ აქტიურად მონაწილეობს:

أ ب ة م ي و ؤ م ي ي أ خ ب أ ي ة م ؤ م ؤ م ؤ م ي م أ ي

„დაბრუნდა ჩემი სადარდებელი, მე მყავს მოყვარენი (მაგრამ)

მათი სადარდებელი იმაზეა, რაც მათ ეხება, ხოლო ჩემი სადარდებელი იმაზეა, რაც მე მეხება“ (ამ ბაითს მიაწერენ ალი იბნ აბუ ტალიბს);

ამ ციტატაში სიტყვები ისეა შერჩეული, რომ მათ არტიკულირებაში არ მონაწილეობენ ბაგეები:

ق ط غ ن ا ل ي ق ط ا ق ط غ ل ي ل ة ي ن ر ا غ ا ل ي ل ا ل غ ت ا ق ا ل ك ح ق

„ემოგზაურობდით, როგორც გვრიტჩიტები ღამით,

ვჩქარობდით ცხენებზე ამხედრებულნი, ერთმანეთს ვუსწრებდით“.

ზოგჯერ, ფორმალური პარალელიზმი ქმნის ზმას:

أَتَى بِنَا إِلَى هُنَا إِلَّا هُنَا

„აქ მოგვიყვანა ჩვენმა ღმერთმა“, ამ ფრაზაში სეგმენტები „აქ“ და „ჩვენმა ღმერთმა“ არაბულში სრულიად იდენტურად ჟღერს. ასევე ზმურობის ეფექტი მიიღწევა შემდეგ მაგალითში:

وَأَلْ رَجَالُ هُمْ أَلْمَرْهُمْ وَ أَلْمَرْهُمْ، لَا طَيِّبَ لِلْعَيْشِ بِلَهُمْ، أَلْن سَاءَ أَلْدَوَاهِي وَ أَلْدَوَاهِي، لَا طَيِّبَ لِلْعَيْشِ بِلَ هُنَّ وَ أَلْبَلَّ هُنَّ وَأَلْبَلَّ هُنَّ

„ქალები არიან უბედურება და წამალიც, არ აქვს სიცოცხლეს გემო მათ გარეშე და ჭირიც ისინი არიან. და კაცები არიან მალამო და სიმწარეც, არ აქვს ცხოვრებას გემო მათ გარეშე და ჭირიც ისინი არიან“. აქ ზმურ წყვილებს ქმნიან ფრაგმენტები: „უბედურებანი“ – „წამალიც (ისინი არიან)“, „მათ გარეშე“ – „სიმწარეც (ისინი არიან)“, „მალამო“ – „სიმწარე არიან“, ყველა ეს სეგმენტი არაბულად პრაქტიკულად იდენტურად ჟღერს; განსხვავებაა სიტყვათა სეგმენტირებაში, ისევე, როგორც იყო წინამორბედ მაგალითში.

ასეა თუ ისე, პარალელიზმის შემთხვევათა ერთი ნაწილი არაბულში ემსახურება აზრის ჰიპერბოლიზებას. მაგალითები:

(حُكِّيَ وَاللَّهُ أَعْلَمُ أَنَّهُ قِيَمًا مَضَى مِنْ قَدِيمِ الزَّمَانِ وَسَالَفِ الْعَصْرِ وَالْأَوَانِ كَانَ م ل ك) أَلْفَ لَيْلَةٍ وَلَيْلَةٍ

„ყვებიან, და ალლაჰმა უკეთ უწყის, რომ წარსულში, ძველ ჟამს, გარდასულ დროსა და ხანაში იყო ერთი მეფე“. აქ ოთხჯერაა გამოყენებული ძალიან მიახლოებული მნიშვნელობის სიტყვები „დროის, ხანის“ გაგებით. მათი ამგვარი გამოყენება ხაზს უსვამს, რომ ამბავი დიდი ხნის წინ მომხდარა, შესაბამისად, ჰიპერბოლიზებულია ამბის სიძველის გაგება.

ერთდროულად ფორმალურიცაა და შინაარსობრივაც პარალელიზმი ალლაჰის ცნობილ ეპითეტებში اَلَّٰهُ اَكْبَرُ „მოწყალე, მწყალობელი“, რადგანაც, ფორმალური თვალსაზრისით, ორივე სიტყვა აგებულია ერთსა და იმავე ძირსა და ზედსართაულ მოდულებზე, ხოლო შინაარსობრივად, „მოწყალე“ და „მწყალობელი“ ძალიან მიახლოებული, თითქმის სინონიმური სიტყვებია. ზოგადადაც, ის ფაქტი, რომ ალლაჰის ეპითეტები ისლამურ ტრადიციაში ხშირად გამოიყენება წყვილში, ორ-ორი ერთად, ასევე პარალელიზმის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ეს, თავის მხრივ, ალლაჰის უზენაესობის ჰიპერბოლიზებას, ამის ხაზგასმას ემსახურე-ბა: مَغْفُورٌ رَّحِيمٌ „მიმტევებელი, მოწყალე“, عَزِيزٌ مُّجِيبٌ „(ყოვლის)მცოდნე, ბრძენი“, عَظِيمٌ مُّجِيبٌ „(ყოვლად)ძლიერი, ბრძენი“, وَاسِعٌ عَظِيمٌ „(ყოვლის)მომცველი, (ყოვლის)მცოდნე“ და ა.შ. და ა.შ.

თემა ფართოა და, განსაკუთრებით, სტილისტურ ნაწილში, სხვადასხვა მო-მიჯნავე დისციპლინის (მაგ., البلاغة ; მის შესახებ იხ.: علي الجارم 2010) გათვალისწინებას მოითხოვს. ამჯერად, მოხსენების მიზანი იყო საკითხის დასმა, მისადმი ყურადღე-ბის მიპყრობა.

### ბიბლიოგრაფია:

- Юшманов, Н. В. (2017): Грамматика литературного арабского языка, Москва: URSS.  
ეჯიბაძე, ნ. (2023): არაბული ენის გრამატიკა. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.  
المصرية المكتبة دار: بيروت. الأول المجلد. وليلة ليلة ألف والنشر للدعاية الأهرام شركة: القاهرة. القرآن في السجع (: 1995 ( ستيوارت ج ديفين.  
الجيل دار: القاهرة: المتنبي ديوان.  
البشرى مكتبة: باكستان. الواضحة البلاغة (: 2010 ( أمين مصطفى، الجارم علي.  
العربي افكر دار: بيروت. الجنس فن (: 2008 ( الجندي علي.  
للنشر الهدى دار: تهران. ) 1413 ( الكريم القرآن  
\_\_\_\_ والتصدير والتوزيع للنشر الطلوع دار: القاهرة. سر المي الإعراب (: 1998 ( العباس أبو على محمد

**Nino Ejibadze**

Iv. Javakhishvili State University  
Tbilisi, Georgia

[nino.ejibadze@tsu.ge](mailto:nino.ejibadze@tsu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.23>

## Techniques of Hyperbolizing Meaning in Arabic

### Abstract

One of the characteristic features of Arabic artistic thinking is hyperbolization, amplification, intensification of thought. Arabic offers us a number of means for achieving this effect; they function on the border of grammar and stylistics and relate almost equally to both. The purpose of the paper is to classify and unite those grammatical and stylistic means that usually function in the language completely independently of each other, but when it comes to hyperbolization of the meaning, they are used to achieve this effect with different nuances.



## 1. Grammatical means of hyperbolization of meaning

a) Paronomasia, as is known, is a construction in which the verb is followed by an adverb of the same (or close) meaning in the accusative case. The main function of a paronymic construction is to emphasize an action with several different semantic shades: a) identification of the type of action, b) expression of the quantity or frequency of the action, and, most often, c) strengthening of the meaning expressed by the verb. If we consider it from a principled position, all these options can be combined into a frame of hyperbolization, amplification, intensification of meaning, since they all imply emphasis, emphasizing.

b) Form II, built on the model of *فَعَّلَ – يُفَعِّلُ*, was adapted to convey the strengthening, intensification of meaning in its original, pre-Classical version. It is interesting that the form developed to convey the hyperbolization is almost identical to the original, initial one, but the second root consonant is geminated in it. It can be assumed that since the geminate in Arabic is understood as an strengthened (*مُشَدَّدٌ*) consonant, the function of strengthening, intensifying the meaning was also carried out by pronouncing the second root consonant with “strength”. In turn, the second root consonant (and its vowel) is of greatest importance for the formation of words with three root consonants.

c) Derivative forms XI-XV. Already in the Classical era of the Arabic language, the derivative system was expanded, both in terms of formation and semantics; appeared forms XI-XV formed by the infixation of “amorphous consonants”, and the functions of conveying additional semantic accentuation were added to the previously existing derivational forms. Forms XI-XV, which, in principle, were rarely used even in the Classical language, convey the intensity of meaning with one or another semantic coloring.

d) Energetive, which is used only in Classical language, implies strengthening, intensification of the meaning of the verb imperfective with the corresponding suffix.

e) The cardinal numerals “one” and “two”, when are used with nouns in the singular or dual number, in an indefinite status, also serve to emphasize, hyperbolize the meaning.

f) In a certain sense, in some morphosyntactic situations, the particle also serves the function of hyperbolizing the meaning. For example, if we say, *أَعْطَيْتُهُ دِينَارًا*, it already means “I gave him (one) dinar”, but if we attach the affirmative particle to this phrase: *إِنِّي أَعْطَيْتُهُ دِينَارًا*, *لَقَدْ أَعْطَيْتُهُ دِينَارًا*, this gives the meaning conveyed by the phrase an additional emphasis: “Truly, I gave him a dinar”. Or *أَفَلَا يَنْظُرُونَ إِلَى الْإِبِلِ كَيْفَ خُلِقَتْ* (Qur'an, 22:17) “Do they not look at the camels, how they are created!” The inclusion of the particle *فَ* makes this phrase an exclamatory sentence (causing an intensification of the thought being conveyed; without this particle it would be an interrogative sentence without additional semantic emphasis). Accordingly, the repeated use of particles also often serves to hyperbolize the statement.

## 2. Stylistic means of hyperbolizing meaning

In addition to purely grammatical means, the hyperbolization of thought is also served by technical means of a stylistic nature, very characteristic of the Arabic language and popular not only in the literary language, but also in colloquial Arabic.

First of all, we should remember parallelism. Both two-part and multi-part parallelism are popular. On the other hand, parallelism can be based on similarity in form or in meaning. As for parallelism based on similarity in form, the Arabic tradition shows great diversity here; constructions in such cases vary on the border of grammar and stylistics, some of them will be considered in “grammatical means”. In any case, parallelism in Arabic often acts as a means of hyperbolizing thought.

The illustrative material, on the basis of which the analysis will be provided, will be drawn from Classical and Modern Arabic, dialects, and texts of various typologies (the Qur'an, fiction, etc.).

**Key Words:** Arabic literature, Techniques of Hyperbolizing Meaning